

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი
აუდიტორის დასკვნა

შპს „დეფაქტო რითეილ ჯის“

2019 წლის 31 დეკემბერი

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
ინდივიდუალური მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსახვლის ანგარიშგება	8
ფულადი ნაკადების მოძრაობის ინდივიდუალური ანგარიშგება.....	9
კაპიტალში ცვლილების ინდივიდუალური ანგარიშგება.....	10
კომპანია და მისი საქმიანობა	11
მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	11
ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები	16
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	Error! Bookmark not defined.

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს შპს „დეფაქტო რითეილ ჯის“

დამფუძნებლებსა და ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შპს „დეფაქტო რითეილ ჯის“ (შემდგომში „კომპანია“) ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2019 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის ნაწილში - „**მოდიფიცირებული მოსაზრების საფუძველი**“- აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრისთვის, აგრეთვე მისი საქმიანობის ინდივიდუალურ ფინანსურ შედეგებსა და ინდივიდუალურ ფულად ნაკადებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

მოდიფიცირების საფუძვლები

ჩვენ კომპანიის აუდიტორებად დაგვნიშნეს 2020 წლის 7 ოქტომბერს. შესაბამისად, ვერ შევძელით დავსწრებოდით მარაგების ფიზიკური ინვენტარიზაციის პროცესს 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ დავრწმუნდით აღნიშნული თარიღისთვის აღრიცხული თუ აღურიცხავი მარაგების ნაშთის სისწორეში, რომელიც ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია 4 210 535 ლარის ოდენობით. ვინაიდან მარაგების ნაშთი მონაწილეობს ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების განსაზღვრაში, ვერ დავადგინეთ აუცილებელი იქნებოდა თუ არა კორექტირებების შეტანა სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგებისა და ასევე ფულადი ნაკადების ინდივიდუალური ანგარიშგების შესაბამის ელემენტებში 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის.

ჩვენ არ მიგვიღია მესამე მხარის დასტურის წერილები გარკვეული მომწოდებლებისგან და ვერც ალტერნატიული პროცედურებით შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულების მოპოვება კომპანიის სავაჭრო დავალიანების გარკვეული ნაშთის სისწორეზე 2019 წლის 31 დეკემბრისთვის, რაც ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია 6 032 837 ლარის ოდენობით. აღნიშნულის გამო, ჩვენ ვერ დავადგინეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ შესაბამის ელემენტებში.

კომპანიის მიერ 2019 წლის ივნისის თვეში განახორციელდა დივიდენდის გატანა 4 619 795 ლარის ოდენობით, ასევე კომპანიას კრების ოქმში საფუძვად მითითებული აქვს 2018 წლის მოგების განაწილება. კომპანიის დაგროვილი მოგება 31.12.2018 -ის მდგომარეობით შეადგენდა 3 908 762 ლარს. კომპანიას უნდა განეხორცილებინა დაგროვილი მოგების დივიდენდად განაწილება.

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - „**აუდიტორის პასუხისმგებლობა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე**“.

ჩვენ დამოუკიდებლობები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბესს“) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებითა და ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლობები, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვანი გარემოება - საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ყურადღებას ვამახვილებთ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მე-15 განმარტებით შენიშვნაზე, სადაც აღწერილია გარემოებები, რომელსაც ადგილი ჰქონდა საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

სხვა ინფორმაცია - კომპანიის მმართველობის ანგარიშგება

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის მმართველობის ანგარიშგებაში შეტანილ ინფორმაციას, მაგრამ არ მოიცავს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. ჩვენი მოსაზრება ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან მარეგულირებელ ნორმატიულ აქტების მოთხოვნებთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობაა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის გაცხადება. ამ კუთხით ჩვენ არაფერი გვაქვს გასაცხადებელი.

ჩვენი მოსაზრებით, ჩვენი აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებზე დაყრდნობით, კომპანიის 2019 წლის მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- თანხვედრილია 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებულ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- შეიცავს იმ ინფორმაციას, რომელიც მოითხოვება საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს, ამის გარდა, სხვა არჩევანი.

მართვის უფლებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულვებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონტრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;

- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს სააღრიცხვო საფუძვლის გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნიტ, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ექვსი ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნიტ, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვლიტ ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობებები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.
- მოვიპოვეტ საკმარის აუდიტორულ მტკიცებულებას კომპანიის ფინანსურ ინფორმაციასა და საქმიანობაზე, რათა გამოვხატოტ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მართვის უფლებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დავით ფხაკაძე

შპს „დალაუდის“ სახელით
თბილისი, საქართველო
29 ოქტომბერი 2020 წ.

- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონტრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს სააღრიცხვო საფუძვლის გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობებები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.
- მოვიპოვებთ საკმარის აუდიტორულ მტკიცებულებას კომპანიის ფინანსურ ინფორმაციასა და საქმიანობაზე, რათა გამოვხატოთ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მართვის უფლებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დავით ფხაკაძე

შპს „დალაუდის“ სახელით
თბილისი, საქართველო
29 ოქტომბერი 2020 წ.



ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
შპს "დეფაქტო რითეილ ჯი"

		31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	5,668,777	6,647,265	3,909,284
სულ გრძელვადიანი აქტივები		5,668,777	6,647,265	3,909,284
მიმდინარე აქტივები				
მარაგები		4,210,535	4,409,120	1,865,858
საგადასახადო აქტივი		-	231,105	-
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	6	1,680,575	753,756	265,970
ფული და ფულის ექვივალენტები	5	608,148	964,359	607,880
სულ მიმდინარე აქტივები		6,499,258	6,358,340	2,739,708
მთლიანი აქტივები		12,168,035	13,005,605	6,648,992
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		24,686	24,686	-
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		(2,353,196)	3,908,762	3,039,108
სულ კაპიტალი		(2,328,510)	3,933,448	3,039,108
გრძელვადიანი ვალდებულებები				
სესხები	8	3,848,710	4,037,030	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		3,848,710	4,037,030	-
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სესხები		4,457,974	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7	6,032,837	5,035,127	3,605,509
საგადასახადო ვალდებულებები		157,024	-	4,375
სულ მიმდინარე ვალდებულებები		10,647,835	5,035,127	3,609,884
სულ ვალდებულებები		14,496,545	9,072,157	3,609,884
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები		12,168,035	13,005,605	6,648,992

გენერალური დირექტორის (სახელი, გვარი)

(ხელმოწერა)

ბუღალტერი (სახელი, გვარი)

(ხელმოწერა)

ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
შპს "დეფაქტო რითეილ ჯი"

		31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	5,668,777	6,647,265	3,909,284
სულ გრძელვადიანი აქტივები		5,668,777	6,647,265	3,909,284
მიმდინარე აქტივები				
მარაგები		4,210,535	4,409,120	1,865,858
საგადასახადო აქტივი		-	231,105	-
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	6	1,680,575	753,756	265,970
ფული და ფულის ექვივალენტები	5	608,148	964,359	607,880
სულ მიმდინარე აქტივები		6,499,258	6,358,340	2,739,708
მთლიანი აქტივები		12,168,035	13,005,605	6,648,992
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		24,686	24,686	-
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		(2,353,196)	3,908,762	3,039,108
სულ კაპიტალი		(2,328,510)	3,933,448	3,039,108
გრძელვადიანი ვალდებულებები				
სესხები	8	3,848,710	4,037,030	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		3,848,710	4,037,030	-
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სესხები		4,457,974	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7	6,032,837	5,035,127	3,605,509
საგადასახადო ვალდებულებები		157,024	-	4,375
სულ მიმდინარე ვალდებულებები		10,647,835	5,035,127	3,609,884
სულ ვალდებულებები		14,496,545	9,072,157	3,609,884
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები		12,168,035	13,005,605	6,648,992


A.Hamdi Burgacoglu

გენერალური დირექტორის (სახელი, გვარი)

Diana Emirova

ბუღალტერი (სახელი, გვარი)


(ხელმოწერა)


(ხელმოწერა)

ინდივიდუალური მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
შპს"დეფაქტო რითეილ ჯი"

		31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
შემოსავალი	9	24,442,525	16,154,457
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება		(15,347,617)	(8,377,882)
მთლიანი მოგება		9,094,908	7,776,575
სხვა შემოსავალი		22,532	3,310
მიწოდების ხარჯები	10	(7,412,424)	(5,580,159)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	11	(1,330,211)	(1,293,042)
სხვა საოპერაციო ხარჯები		(520,677)	-
საოპერაციო მოგება/ზარალი		(145,872)	906,684
ფინანსური ხარჯი		(787,154)	(37,030)
მოგება/ზარალი მოგების გადასახადამდე		(933,026)	869,654
მოგების გადასახადი		(709,137)	-
წმინა მოგება/ზარალი		(1,642,163)	869,654
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სრული შემოსავალი/ზარალი		(1,642,163)	869,654
----- გენერალური დირექტორის (სახელი, გვარი)		----- (ხელმოწერა)	
----- ბუღალტერი (სახელი, გვარი)		----- (ხელმოწერა)	


ინდივიდუალური მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსახვლის ანგარიშგება
შპს "დეფაქტო რითეილ ჯი"

		31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
შემოსავალი	9	24,442,525	18,154,457
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება		(15,347,617)	(8,377,882)
მაჟლიანი მოგება		9,094,908	7,776,575
სხვა შემოსავალი		22,532	3,310
მიწოდების ხარჯები	10	(7,412,424)	(5,580,159)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	11	(1,330,211)	(1,293,042)
სხვა საოპერაციო ხარჯები		(520,677)	-
საოპერაციო მოგება/ზარალი		(145,872)	906,684
ფინანსური ხარჯი		(787,154)	(37,030)
მოგება/ზარალი მოგების გადასახადამდე		(933,026)	869,654
მოგების გადასახადი		(709,137)	-
წმინა მოგება/ზარალი		(1,642,163)	869,654
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სრული შემოსავალი/ზარალი		(1,642,163)	869,654

A.Hamdi Burgacoglu
გენერალური დირექტორის (სახელი, გვარი)


(ხელმოწერა)

Diana Emirova
ბუღალტერი (სახელი, გვარი)


(ხელმოწერა)

ფულადი ნაკადების მოძრაობის ინდივიდუალური ანგარიშგება
შპს"დეფაქტო რითეილ ჯი"

	2019	2018
მოგება გადასახადამდე	(933,026)	869,654
კორექტირებები		
ცვეთა და ამორტიზაცია	1,078,329	906,636
საკურსი მოგება/ზრალი(ნეტი)	199,209	717,822
საპროცენტო ხარჯი	787,154	37,030
მოგება/ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე	1,131,666	2,531,142
მარაგების ზრდა/კლება	198,585	(2,543,262)
დებიტორული დავალიანების ზრდა/კლება	(926,819)	(577,911)
კრედიტორული დავალიანების ზრდა/კლება	798,501	888,861
გადასახადების ზრდა	388,129	(235,480)
სამუშაო კაპიტალის ცვლილება	458,396	(2,467,792)
მოგების გადასახადი	(709,137)	-
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	880,925	63,350
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(101,373)	(3,644,617)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(101,373)	(3,644,617)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
მიღებული სესხები	3,482,500	4,000,000
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	-	24,686
გადახდილი დივიდენდი დედა კომპანიისთვის	(4,619,795)	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(1,137,295)	4,024,686
საკურსო სხვაობის ცვლილების გავლენა	1,533	(86,940)
ფულის და ფულის ექვივალენტების ზრდა/კლება	(357,744)	443,419
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	964,359	607,880
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	608,148	964,359

 გენერალური დირექტორის (სახელი, გვარი)

 (ხელმოწერა)

 ბუღალტერი (სახელი, გვარი)

 (ხელმოწერა)

ფულადი ნაკადების მოძრაობის ინდივიდუალური ანგარიშგება
შპს "დეფაქტო რითეილ ჯი"

	2019	2018
მოგება გადასახადამდე	(933,026)	869,654
კორექტირებები		
ცვეთა და ამორტიზაცია	1,078,329	906,636
საკურსი მოგება/ზარალი(ნეტი)	199,209	717,822
საპროცენტო ხარჯი	787,154	37,030
მოგება/ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე	1,131,666	2,531,142
მარაგების ზრდა/კლება	198,585	(2,543,262)
დებიტორული დავალიანების ზრდა/კლება	(926,819)	(577,911)
კრედიტორული დავალიანების ზრდა/კლება	798,501	888,861
გადასახადების ზრდა	388,129	(235,480)
სამუშაო კაპიტალის ცვლილება	458,396	(2,467,792)
მოგების გადასახადი	(709,137)	-
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	880,925	63,350
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(101,373)	(3,644,617)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(101,373)	(3,644,617)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
მიღებული სესხები	3,482,500	4,000,000
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	-	24,686
გადახდილი დივიდენდი დედა კომპანიისთვის	(4,619,795)	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(1,137,295)	4,024,686
საკურსო სხვაობის ცვლილების გავლენა	1,533	(86,940)
ფულის და ფულის ექვივალენტების ზრდა/კლება	(357,744)	443,419
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	964,359	607,880
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	608,148	964,359

A.Hamdi Burgacoglu

გენერალური დირექტორის (სახელი, გვარი)

Diana Emirova

ბუღალტერი (სახელი, გვარი)

(ხელმოწერა)

(ხელმოწერა)

კაპიტალში ცვლილების ინდივიდუალური ანგარიშგება

შპს "დეფაქტო რითეილ ჯი"

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი მოგება/ზარალი	სულ კაპიტალი
ნაშთი 1 იანვარი 2018	24,686	3,039,108	3,063,794
მოგება/ზარალი	-	869,654	869,654
ნაშთი 31 დეკემბერი 2018	24,686	3,908,762	3,933,448
ზარალი	-	(1,642,163)	(1,642,163)
დივიდენდის გაცემა	-	(4,619,795)	(4,619,795)
ნაშთი 31 დეკემბერი 2019	24,686	(2,353,196)	(2,328,510)

გენერალური დირექტორის (სახელი, გვარი)

(ხელმოწერა)

ბუღალტერი (სახელი, გვარი)

(ხელმოწერა)

კაპიტალში ცვლილების ინდივიდუალური ანგარიშგება

შპს "დეფაქტო რითეილ ჯი"

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი მოგება/ზარალი	სულ კაპიტალი
ნაშთი 1 იანვარი 2018	24,686	3,039,108	3,063,794
მოგება/ზარალი	-	869,654	869,654
ნაშთი 31 დეკემბერი 2018	24,686	3,908,762	3,933,448
ზარალი	-	(1,642,163)	(1,642,163)
დოვიდენდის გაცემა	-	(4,619,795)	(4,619,795)
ნაშთი 31 დეკემბერი 2019	24,686	(2,353,196)	(2,328,510)
A. Hamdi Burgacoglu			
გენერალური დირექტორის (სახელი, გვარი)		(ხელმოწერა)	
Diana Emirova			
ბუღალტერი (სახელი, გვარი)		(ხელმოწერა)	

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. კომპანია და მისი საქმიანობა

შპს დეფაქტო რითეილ ჯი („კომპანია“) დაარსდა 2015 წლის 12 მარტს საქართველოში რეგისტრირებული მისამართით. კომპანია წარმოადგენს ქართული კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებულ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას.

DEFACTO PERAKENDE TİC. A.Ş. წარმოადგენს ამ კომპანიის პირდაპირ და შუალედურ დამფუძნებელს, და უშუალო მაკონტროლებელ მხარეს. იგივე DEFACTO PERAKENDE TİC. A.Ş. ასრულებს სამეწარმეო მფლობელობით ფუნქციებს.

კომპანია იყენებს თურქული ე.წ. ომნი-არხული საცალო ქსელის სავაჭრო ნიშანს. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ტანსაცმლით, სუნამოებითა და ფეხსაცმლით ვაჭრობა სპეციალიზირებულ საცალო მაღაზიებში. კომპანია აწარმოებს საქონელს თურქეთში, შემოაქვს საქართველოში და რე-ექსპორტს ახორციელებს სომხეთში. საქართველოში წარმოდგენილია კომპანიის 7 საცალო მაღაზია, რომლებიც მდებარეობს თბილისში, ბათუმსა და ქუთაისში.

თანამშრომელთა ჯამური რაოდენობა საანგარიშო პერიოდში იყო 106, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კომპანიის რეგისტრაციის/იურიდიული მისამართია: თბილისი, ისანი სამგორის რაიონი, თვალჭრელიძის ქ. #2. კომპანიის ადმინისტრაციული ოფისი ადმინისტრაციის ორი თანამშრომლის გუნდით განთავსებულია მერაბ ალექსიძის ქ. 12-ში მდებარე ბიზნეს ცენტრ King David-ის მეორე სართულზე.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

მომზადების საფუძველი. წინამდებარე წინასწარი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული საანგარიშო წლისათვის „მსს ფასს“-ის 35 პუნქტის საფუძველზე (გადასვლა მსს ფასზე) კომპანიის მიერ მცირე და საშუალო ზომის საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შემოღების შედეგად. წინამდებარე წინასწარი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაცია არ შეიცავს შედარებით მონაცემებს გადასვლის წინა, კერძოდ, 2019 წლის 1 იანვრამდე არსებული პერიოდისთვის. წინასწარი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგებები გამიზნულია შედარებითი ინფორმაციის ფორმირებისათვის კომპანიის პირველი სრულყოფილი მსს ფასს ფინანსური ანგარიშგებების შესადგენად 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისათვის.

წინასწარი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგებები მომზადდა პირვანდელი ღირებულების საფუძველზე. ზოგადად, პირვანდელი ღირებულება ეფუძნება აქტივების გაცვლისას ანაზღაურების საბაზრო/რეალურ ღირებულებას.

მსს ფასს-ის შესაბამისად სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს გარკვეული კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გატარების პროცესში ასევე საჭიროა ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებების/მოსაზრებების გათვალისწინება.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის

ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს სჯერათ, რომ მიმდინარე პანდემიის (COVID-19) გათვალისწინებით (როგორც ეს მოცემულია განმარტებით შენიშვნა 13-ში - საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მომხდარი მოვლენები) არ არის ცნობილი რაიმე სხვა განუსაზღვრელობა რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას კომპანიის საქმიანობას და უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისათვის. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანიის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია აღნიშნული დამკვებით.

ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ვალუტა. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია ქართულ ლარში (GEL), თუ სხვაგვარად არაა მითითებული.

ანგარიშგებაში უცხოური ვალუტის წარმოდგენის წესი. ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილი საკითხები განსაზღვრულია იმ ეკონომიკური გარემოს ვალუტაში, რომელშიც ძირითადად ოპერირებს ეკონომიკური აგენტი (შემდგომში „ფუნქციონალური ვალუტა“). კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღეს მოქმედი კურსით. ასეთ ოპერაციებზე განხორციელებული ანგარიშსწორების და უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების წლის ბოლოს მოქმედი კურსით კონვერტაციის შედეგად გამოწვეული სავალუტო მოგება და ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალისა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. უცხოური ვალუტის კონვერტაციის შედეგად მიღებული მოგება და ზარალი აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგების ნაწილში „ფინანსური შემოსავალი და ხარჯები“. სესხების ვალუტა შეესაბამება კომპანიის საოპერაციო ვალუტას, შესაბამისად ნასესხებ თანხებთან მიმართებაში არ არსებობს კონვერტაციასთან დაკავშირებული მოგება ან ზარალი.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უცხოურ ვალუტაში გამოსახული აქტივების/ნაშთების ანგარიშგებაში წარმოდგენისათვის გამოყენებული ძირითადი გაცვლითი კურსი ასეთია: 1 ევრო = 3.2095 ლარი (2018 წელს: 1 ევრო = 3.0701 ლარი); 1 აშშ დოლარი = 2.8677 ლარი (2018 წელს: 1 აშშ დოლარი = 2.6766 ლარი). ამჟამად ლარი არ წარმოადგენს საქართველოს ფარგლებს გარეთ თავისუფლად კონვერტირებად ვალუტას.

ფული და მისი ექვივალენტები.

ფული და მისი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და საბანკო ანგარიშზე არსებულ ოდენობებს, რომელთა დაფარვის ვადა სამი თვე, ან უფრო ნაკლებია.

მარაგები (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები).

მარაგები აღირიცხება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება მოიცავს შესასყიდ ღირებულებასა და იმ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია საქონლის მიმდინარე მდგომარეობამდე ტრანსპორტირებისათვის და არსებულ მდგომარეობაში მოსაყვანად. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება განისაზღვრება FIFO მეთოდით (რომლის საფუძველზეც მარაგებში პირველი შემოსული, პირველი გავა). ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობაში დადგენილი გასაყიდი ფასი, დასრულების საფასურისა და გაყიდვების ხარჯების გამოკლებით.

სავაჭრო და სხვა სახის მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების აღიარება თავდაპირველად ხდება გარიგები ფასით, ხოლო შემდეგ ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვი იქმნება როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება, რომ კომპანია ვერ შეძლებს გადასახდელი თანხების ამოღებას მოთხოვნის თავდაპირველი პირობების შესაბამისად.

ქონება და აღჭურვილობა (ძირითადი საშუალებები). ქონება და აღჭურვილობა (ძირითადი საშუალებები) წარმოდგენილია მათი თავდაპირველი ღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთის და ნებისმიერი სახის გაუფასურების ხარჯი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. თავდაპირველი ღირებულება მოიცავს ისეთ ხარჯებს, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება აქტივის მიმდინარე მდებარეობამდე ტრანსპორტირებასა და ხელმძღვანელობის მიერ დაგეგმილი სამუშაოს შესასრულებლად საჭირო მდგომარეობამდე მოყვანას.

კომპანია ძირითადი საშუალებების ობიექტის საბალანსო ღირებულებას უმატებს ამ ნივთის ჩასანაცვლებელი ნაწილის ხარჯს, თუ მოსალოდნელია, რომ ამ ჩასანაცვლებელი ნაწილის გამოყენება მომავალში დამატებით სარგებელს მოუტანს კომპანიას. ჩანაცვლებული ნაწილის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სხვა სარემონტო სამუშაოები და ტექნიკური მომსახურება აღირიცხება მოგება-ზარალის იმ პერიოდის ანგარიშგებაში, როდესაც ასეთი ხარჯების გაწევა მოხდა.

სხვა აქტივების ცვეთა დაირიცხება იმგვარად, რომ აქტივების გამოყოფილ თვითღირებულებას აკლდება მისი ნარჩენი ღირებულება ამ აქტივის სასარგებლო მომსახურების სავარაუდო ვადაზე გადანაწილებით. ამგვარი აქტივების ცვეთა დაირიცხება წრფივი მეთოდის გამოყენებით. სასარგებლო მომსახურების სავარაუდო ვადებია:

მანქანა-დანადგარები	10-15 წელი
ელექტრონული აღჭურვილობა	5-10 წელი
ავეჯი და სანათი აღჭურვილობა	5 წელი
სხვა დამაგრებული აქტივი	3-5 წელი
საიჯარო ქონების გაუმჯობესებები	10 წელი

აქტივების ნარჩენი ღირებულების, სასარგებლო მომსახურების ვადისა და ცვეთის დარიცხვის მეთოდების გადახედვა და საჭიროებისამებრ სათანადოდ კორექტირება ხდება იმ შემთხვევაში, თუ არსებობს მაჩვენებელი ან მითითება ბოლო საანგარიშო თარიღის შემდეგ განხორციელებული მნიშვნელოვანი ცვლილების შესახებ.

აქტივის საბალანსო ღირებულება დაუყოვნებლივ ჩამოიწერება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება მის სავარაუდო ანაზღაურებად ღირებულებას აღემატება.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. ცვეთას ან ამორტიზაციას დაქვემდებარებული აქტივები ფასდება ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს იმის დასადგენად, არსებობს თუ არა აქტივების გაუფასურების რაიმე მაჩვენებელი. სადაც არსებობს აქტივის გაუფასურების მაჩვენებელი, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის, რომელსაც აქტივი მიეკუთვნება) საბალანსო ღირებულებაზე ტარდება ტესტი გაუფასურებაზე. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ ოდენობით, რა სიდიდითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულება წარმოადგენს აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) გასვლის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდეს თანხას. გაუფასურების შეფასების მიზნებისთვის, აქტივები ჯგუფდება ისეთ უდაბლეს დონეებზე, რომლებისთვისაც იდენტიფიცირებადია ცალკე ფულადი ნაკადები (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულები). ყოველი საანგარიშო პერიოდისთვის ხდება ცვეთას დაქვემდებარებული არაფინანსური აქტივების, გარდა ე.წ. „გუდვილისა“, საკითხის გადახედვა ცვეთის აღდგენის შესაძლებლობის დასადგენად.

სესხები: სესხები თავდაპირველად აღირიცხება მათი რეალური ღირებულებით, ტრანზაქციის ხარჯების გამოკლებით. შემდგომ სესხები ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, ხოლო საპროცენტო ხარჯები აღიარებულია ეფექტური შემოსავლიანობის საფუძველზე.

შემოსავლის აღიარება.

შემოსავალი განისაზღვრება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით და წარმოადგენს მიწოდებული საქონლისთვის მისაღებ თანხებს, მითითებულია ნეტო ფასდაკლებების, ამონაგების და დამატებული ღირებულების გადასახადების გათვალისწინებით. კომპანია შემოსავალს აღიარებს: როდესაც შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის უტყუარად გაანგარიშება; როდესაც არსებობს მოლოდინი ეკონომიკური სარგებელის შემოძინებისა; და როდესაც შესრულებულია კონკრეტული კრიტერიუმები კომპანიის თითოეულ საქმიანობასთან დაკავშირებით, როგორც ეს ქვემოთ არის აღწერილი. როდესაც ვერ ხერხდება ბარტერული გარიგების შედეგად მიღებული საქონლის რეალური ღირებულების უტყუარად დადგენა, შემოსავალი განისაზღვრება გაცემული საქონლის ან მომსახურებების რეალური ღირებულებით.

საქონლის გაყიდვა. საქონლის გაყიდვიდან მიღებული ამონაგების/შემოსავლის აღიარება ხდება რისკების გადაცემის და საქონლის საკუთრების უფლების გადაცემის მომენტიდან.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება სამართლიან ღირებულებას დამატებული ტრანზაქციის დანახარჯები და შემდეგ აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, რომელსაც აკლდება გაუფასურების რეზერვი. ყველა გაყიდვა წარმოებს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე და მოთხოვნებს არ ერიცხება პროცენტი. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაიხდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე გარემოება რაც ექვ ქვეშ აყენებს მათ დაფარვას. აღმოჩენის შემთხვევაში, გაუფასურების დანახარჯები აღიარდება მოგება-ზარალში.

ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

სამომავლო ხარჯების და გადახდების რეზერვები არის განუსაზღვრელი დროის და ღირებულების არაფინანსური ვალდებულებები. ისინი ერიცხება, როდესაც კომპანიას აქვს ახლანდელი იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსული მოვლენების შედეგად, და მოსალოდნელია, რომ ეკონომიკური სარგებლის მომცველი რესურსების გადინება საჭირო გახდება ვალდებულების დასაფარად. ამასთან, შესაძლებელია ვალდებულების თანხის საიმედო შეფასება. პირობითი ვალდებულებები ფასდება იმ ხარჯების მიმდინარე ღირებულებით, რაც საჭიროა ვალდებულების დასაფარად გადასახადის გამოქვითვამდე მოქმედი ტარიფის გამოყენებით, რაც ასახავს ფულის დროებითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებს და რისკის შემცველ ვალდებულებებს. დროის გასვლის გამო რეზერვების ზრდა აღიარდება როგორც საპროცენტო ხარჯი.

წინასწარ გადახდები

წინასწარ გადახდები აღირიცხება გადახდის ფაქტობრივი ღირებულებით, გამოკლებული გაუფასურება. საავანსო გადახდები კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ საავანსო გადახდებთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდები უკავშირდება აქტივს, რომელიც თავად იქნება პირველადი აღიარებისას კლასიფიცირებული როგორც გრძელვადიანი. აქტივების შესაძენი წინასწარი გადახდები გადადის აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როდესაც კომპანია მოიპოვებს აქტივზე კონტროლს ან მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი შევა კომპანიაში. სხვა საავანსო გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალში, როდესაც მიღებულია საავანსო გადახდებთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება. თუ არის ნიშნები იმისა, რომ საავანსო გადახდებთან დაკავშირებული აქტივი, საქონელი და მომსახურება არ იქნება მიღებული, საავანსო გადახდების საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგება-ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

ხელფასები, ანაზღაურებები, ანაზღაურებადი წლიური შვებულებები და ბიულეტენები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღირიცხება წლის განმავლობაში, როდესაც დაკავშირებული სერვისები გაწეულია კომპანიის თანამშრომლების მიერ.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულისაგან, დეპოზიტებისაგან და სხვა მოკლევადიანი მაღალ ლიკვიდური ინვესტიციებისაგან, რომელთა დაფარვაც მოსალოდნელია სამ თვეზე ნაკლებ ვადაში. ფული და ფულის ეკვივალენტები აღიარდება საბალანსო ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

მოგების გადასახადი.

მოგებს გადასახდის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როცა კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს. საქარელოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივებია და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტების, ვალდებულებების აღიარება.

დამატებული ღირებულების გადასახადი

გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადი წამოიქმნება საქონლისა და მომსახურების კლიენტისათვის გადაცემისას, რომლის გადახდის ვალდებულება კომპანიას წარმოექმნება არა უგვიანეს ოპერაციის განხორციელების თვის მომდევნო თვის თხუთმეტი რიცხვისა. გადასახდელი დღე მცირდება ჩასათვლელი (გადასახადის გადამხდელის უფლება შეიმციროს გადასახადები) დღე-ს თანხებით ჩათვლის დოკუმენტის არსებობის პირობებში. საგადასახადო ორგანოები ნებას რთავენ კომპანიებს განეტონ დღე-ს გადასახდელი და ჩასათვლელი თანხები. გაყიდვასთან ან შესყიდვასთან დაკავშირებული დღე აღიარებულია და გამჟღავნებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წმინდა თანხებით. როდესაც მოსალოდნელია დებიტორული დავალიანების გაუფასურება, გაუფასურების ხარჯი აღირიცხება ბრუტო თანხით, დღე-ს ჩათვლით.

დაკავშირებულ პირებთან გარიგებების პირველადი გაცხადება.

კომპანიის ჩვეულებრივ სამეურნეო საქმიანობაში კომპანია დებს გარიგებებს მის დაკავშირებულ პირებთან. ბასს 39-ის შესაბამისად მოთხოვნილია ფინანსური ინტრუმენტების გაცხადება მათი რეალური ღირებულებებით. დაშვებით/გადაწყვეტილებით ხდება იმის განსაზღვრა, თუ რამდენადაა გარიგების ფასი დადგენილი საბაზრო ან არა-საბაზრო საპროცენტო განაკვეთებით, მაშინ როცა მსგავსი ტრანზაქციებისათვის არ არსებობს მოქმედი ბაზარი.

ვარაუდი/გადაწყვეტილება ეფუძნება არა-დაკავშირებულ პირებთან მსგავსი ტიპის გარიგებებში არსებულ ფასებსა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზს.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები

კომპანია აკეთებს დაშვებებს და შეფასებებს, რომლებსაც გავლენა აქვთ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე. შეფასებები და მსჯელობები განუწყვეტლივ ხორციელდება და ეყრდნობა ხელმძღვანელობის გამოცდილებას, ისევე როგორც სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალ სავარაუდო მოვლენებს რომელთა ვარაუდიც გონივრულობის ფარგლებში შესაძლებელია შექმნილი გარემოებების მიხედვით. ხელმძღვანელობა ასევე წარმოადგენს კონკრეტულ მსჯელობებს გარდა შეფასებებისა, რომლებიც გამოყენებულია სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. მსჯელობები, რომლებსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და შეფასებები, რომლებსაც შეუძლიათ გამოიწვიონ აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი ცვლილება მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში.

შეფასებები და ძირითადი დაშვებები გადახედვას ექვემდებარება უწყვეტად. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებების ეფექტი აღიარდება იმ პერიოდში, როცა გადახედვა მოხდა თუ ცვლილება მხოლოდ ეხება იმავე პერიოდს ან თუ ცვლილება ეხება როგორც იმავე, ისე მომავალ საანგარიშგებო პერიოდს.

ხელმძღვანელობისგან მნიშვნელოვან შეფასებებსა და დაშვებებს მოითხოვს ძირითადი საშუალებების მომსახურების ვადები, ნარჩენი ღირებულება და ფინანსური აქტივების გაუფასურება.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულება

როგორც ზემოთ აღინიშნა, კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს და ნარჩენ ღირებულებებს ანგარიშგების ყოველი წლის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის და ნარჩენი ღირებულებების განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის ხარჯის ცვლილება.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს ფინანსური აქტივების მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

გადასახადები საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება როგორც განსხვავებულ განმარტებებს, ასევე ხშირ ცვალებადობას. შესაბამისად, საგადასახადო ორგანოების ხდება კანონმდებლობის რომელიმე ნორმის მიმართ, რომელიც გამოყენებულია კომპანიის მიერ მისი საქმიანობის ფარგლებში და მასთან დაკავშირებული ტრანზაქციების საგადასახადო ადმინისტრირებისას, შესაძლოა არ მოვიდეს თანხვედრაში კანონმდებლობის ხელმძღვანელობისეულ გაგებასთან. შედეგად, საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენონ ტრანზაქციები და დაარიცხონ დამატებითი გადასახადები, პირგასამტეხლოები და პროცენტები რასაც შესაძლებელია ქონდეს მნიშვნელოვანი გავლენა. ხელმძღვანელობის რწმენით, შესაბამისი კანონმდებლობის მისეული ინტერპრეტაცია არის შესაფერისი და მოსალოდნელია, რომ კომპანიის საგადასახადო და საბაჟო პოზიცია იქნება მდგრადი.

4. ძირითადი საშუალებები

	მანქანა დანადგარები	ავტო	იჯარით აღებული აქტივის გაუმჯობესება	სულ
ღირებულება 2018 წლის 1 იანვარი	1,266,788	301,576	2,815,923	4,384,286
დაგროვილი ცვეთა	(122,461)	(33,558)	(318,983)	(475,002)
საბალანსო ღირებულება	1,144,327	268,018	2,496,939	3,909,284
შეძენა	433,854	910,449	2,300,313	3,644,616
ცვეთის ხარჯი	(291,343)	(193,547)	(421,745)	(906,634)
საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,286,838	984,920	4,375,508	6,647,265
ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,700,642	1,212,025	5,116,236	8,028,902
დაგროვილი ცვეთა	(413,804)	(227,105)	(740,728)	(1,381,637)
საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,286,838	984,920	4,375,508	6,647,265
შეძენა	99,380	2,161	-	101,541
ცვეთის ხარჯი	(323,077)	(238,646)	(518,306)	(1,080,029)
საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,063,141	748,435	3,857,202	5,668,777
ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,800,022	1,214,186	5,116,236	8,130,443
დაგროვილი ცვეთა	(736,881)	(465,751)	(1,260,734)	(2,461,666)
საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,063,141	748,435	3,855,502	5,668,777

5. ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიის ფულადი ნაკადების შესახებ მონაცემები წარმოდგენილია ქვემოთ

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
სალარო	78,875	95,214	150,643
ფული გზაში	99,542	68,634	53,258
ფული ბანკში - მოთხოვნამდე ანგარიში	429,732	800,511	403,980
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	608,148	964,359	607,880

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანიის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები მოცემულია ქვემოთ

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
მოთხოვნები რეალიზაციიდან	1,358,983	559,041	-
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,358,983	559,041	-
წინასწარ გადახდები	321,591	194,715	197,943
გადახდილი ხელფასი			68,027
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,680,575	753,756	265,970

7. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები
კომპანიის სავაჭრო ვალდებულების შესახებ ინფორმაცია
წარმოდგენილია ქვემოთ

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
სავაჭრო ვალდებულებები დაკავშირებული მხარეებთან	5,780,519	4,825,255	3,236,055
სხვა სავაჭრო ვალდებულებები	246,490	209,872	369,454
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულება	6,027,008	5,035,127	3,605,509
გადასახდელი ხელფასები	5,829	-	-
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულება	6,032,837	5,035,127	3,605,509

8. სესხები
კომპანიის სესხების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ქვემოთ
მოცემულ ცხრილში

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
გრძელვადიანი სესხები ფინანსური ინსტიტუტებიდან	8,306,684	4,037,030	-
სულ სესხები	8,306,684	4,037,030	-

	სესხები
ნეტო ვალდებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4,037,030
სესხის ძირის დამატება	3,482,500
დაგროვილი პროცენტი	785,251

9. შემოსავალი

კომპანიის 2019 წლის შემოსავლის შესახებ ინფორმაცია იხილეთ ცხრილის სახით

ამონაგები	2019	2018
ამონაგები თბილისის მაღაზიებიდან	11,049,417	10,698,297
ამონაგები ბათუმის მაღაზიებიდან	5,904,811	2,914,669
ამონაგები ქუთაისის მაღაზიებიდან	2,095,791	1,447,064
ამონაგები ექსპორტიდან	5,392,507	1,094,427
სულ ამონაგები	24,442,525	16,154,457

10. მიწოდების ხარჯი

	2019	2018
იჯარის ხარჯი	3,089,270	2,419,217
ხელფასები	1,753,637	1,314,388
ცვეთა და ამორტიზაცია	1,078,329	906,636
კომუნალური ხარჯები	272,280	263,725
მარკეტინგის ხარჯები	265,604	244,388
რემონტი და საექსპლუატაციო ხარჯი	240,177	86,441
სხვა ხარჯები	77,491	37,232
ტრანსპორტირების ხარჯი	332,871	22,431
ბანკის ხარჯი	106,701	81,549
მარაგების ჩამოწერა	143,820	204,152
დაცვის ხარჯი	52,244	-
სულ მიწოდების ხარჯები	7,412,424	5,580,159

11. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2019	2018
გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა	661,524	100,370
ოფისის ხარჯები	53,874	22,564
ზარალი საკუროსო სხვაობიდან	199,209	717,822
საკონსულტაციო ხარჯები	168,780	296,673
ხელფასები	150,890	101,294
სხვა ხარჯები	25,794	3,595
ბანკის ხარჯი	27,350	24,593
კომუნალური ხარჯები	25,934	18,325
დაზღვევის ხარჯი	16,856	7,806
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	1,330,211	1,293,042

12. ქვემოთ მოცემულია დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები და მათი შედეგები საანგარიშგებო პერიოდებისათვის:

	2019	2018
საქონლის უკან დაბრუნება	5,269	
საკონსულტაციო მომსახურება	-	192,362
საქონლის შეძენა	15,759,835	10,834,452
ძირითადი საშუალების შეძენა	51060	2192904
	15,816,164	13,219,718

13. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

კომპანიას საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები არ დაფიქსირებია, რომელიც 2019 წლის ანგარიშგებაზე გავლენას იქონიებდა

კორონავირუსის (COVID-19) გავრცელება დაიწყო 2020 წლის იანვრიდან და მოკლე დროში მიიღო გლობალური პანდემიის სახე. მან მსოფლიოს ყველა ქვეყანა მოიცვა, რამაც გავლენა იქონია ეკონომიკაზე, როგორც სტაბილურობის ისე კრიზისის თვალსაზრისით. პანდემიით მიყენებული შესაძლო ზიანის მასშტაბების შემცირების მიზნით გატარებული ღონისძიებების გამო, ნაწილობრივ გაჩერებულია ეკონომიკური საქმიანობა მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში. საქართველოს ხელისუფლებამ დროულად მიმართა შეზღუდვებს და დააწესა რეგულაციები, კომპანიამ გაითვალისწინა ყველა მითითება და რეგულაცია, რის ფარგლებშიც გააგრძელა ეკონომიკური საქმიანობა.

კომპანია გეგმავს შექმნას საქმიანობის უწყვეტობის გეგმა, გაციფრულებაზე კი ყველაზე დიდი აქცენტები გაკეთდება. ზემოთ აღწერილის შემთხვევაში უნდა ითქვას რომ ვირუსს 2019 წლის ანგარიშგებაზე გავლენა არ მოუხდენია.

14. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია კომპანიის მფლობელის მიერ.

შპს დეფაქტო რითეილ ჯი

2019 წლის

მმართველობითი ანგარიშგება

შინაარსი

საქმიანობის ზოგადი მიმოხილვა	გვ 1-2
კომპანიის მიერ განხორციელებული პროექტები და განვითარების გეგმა	გვ 2-3
კომპანიის მმართველობა	გვ 3-4
ინფორმაცია ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლების შესახებ	გვ 4-5
კვლევისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები	გვ 5
ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ	გვ 5
დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ	გვ 5
რისკები და შესაძლებლობები	გვ 5-8

საქმიანობის განვითარების, შედეგების და მდგომარეობის აღწერა

საქმიანობის ზოგადი მიმოხილვა

შპს დეფაქტო რითეილ ჯი შპს ("კომპანია") დაფუძნდა 2015 წლის 12 მარტს და მდებარეობს საქართველოში. კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და შეიქმნა საქართველოს რეგულაციების შესაბამისად.

მისი 100 % წილის მფლობელია სააქციო საზოგადოება დეფაქტო ფრტაქენდე თაჯარეთ ანონიმ შირქეთი (JSC DEFACTO PERAKENDE TİC. A.Ş.), დირექტორი - აჰმეთ ჰამდი ბურგაჩოღლუ. JSC DEFACTO PERAKENDE TİC. A.Ş- თურქეთში დარეგისტრირებული კომპანიაა, რომელიც აწარმოებს და ყიდის DEFACTO ბრენდის საქონელს.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ტანსაცმლის, სუნამოების და ფეხსაცმლის რეალიზაცია სპეციალიზირებულ საცალო მაღაზიებში. კომპანიას საქართველოში შემოაქვს საქონელი, და აგრეთვე რეექსპორტს ახორციელებს სომხეთში. საქართველოში კომპანიის 7 საცალო მაღაზია მდებარეობს თბილისში - 4 მაღაზია, ბათუმში - 2 მაღაზია და ქუთაისში - 1 მაღაზია.

2015 წლიდან 2019 წლამდე მაღაზიათა ქსელი გაიზარდა.

დეფაქტო-ს ბრენდის ერთ-ერთი მახასიათებელია მისი ხელმისაწვდომობა მოსახლეობის ყველა ფენისთვის. ამავდროულად, ამ ტანსაცმლის ხარისხის პარამეტრები ძალიან მაღალ დონეზეა.

კომპანიის მიერ განხორციელებული პროექტები და განვითარების გეგმა

2019 წელს დაფიქსირდა საერთო ამონაგები დაახლოებით 50% -იანი ზრდა (24,442,525 vs 16,154,457 GEL). ზრდის ფაქტორი ძირითადად არის გამოწვეული წარმატებული ექსპორტით სომხეთში და ვაჭრობით ბათუმის მაღაზიებიდან. ეს ზრდა ძირითადად განპირობებულია იმ ფაქტით, რომ გაყიდვების ფასი შემცირდა მეტი მომხმარებლის მოსაზიდად და შენარჩუნების მიზნით.

ეკონომიკური ეფექტის შენარჩუნებაში დიდი ძალისხმევაა საჭირო, რომელსაც ემატება კომპანიისგან დამოუკიდებელი გარემო ფაქტორები - სავალუტო კურსის დიდი ცვლილებები, მსყიდველობითუნარიანი მოქალაქეების არასაკმარისი ზრდა.

გაყიდვების შემოსავლების ამ მასიური ზრდის მიუხედავად, საერთო მოგების ზღვარი მხოლოდ 17% -ითაა გაზრდილი (9,094,908 VS 7,776,575 GEL). მაღალი იჯარის გამო ორ თბილისის მაღაზიაში, ეს მომგებიანობა ვერ შენარჩუნდა საოპერაციო ხარჯების დონეზე. იქნა მიღებული გადაწყვეტილება ორი მაღაზიის ლიკვიდაციის შესახებ, დაგეგმილი 2020 წლის მეორე კვარტალში. ამ მაღაზიების აქტივები უნდა იქნას გამოყენებული სხვა მაღაზიებში.

მიუხედავად მიღწეული წარმატებისა და აღმოჩენილი გამოწვევებისა, კომპანია ორიენტირებულია მომავალზე და სურს უფრო მეტი საინტერესო გააკეთოს როგორც თავის ინდუსტრიაში, ისე მთლიანად საქართველოს ეკონომიკაში. კომპანია გეგმავს თავისი პორტფოლიოს კიდევ უფრო გამრავალფეროვნებას, რათა თავის მომხმარებლებს მისცეს ფართო არჩევანის საშუალება.

განვითარების გეგმასთან თანახმად, კომპანიის მენეჯმენტმა გადაწყვიტა კონცენტრირება მოახდინოს წარმატებული მაღაზიების წილის გაზრდაში და განვითაროს ელექტრონული კომერცია (გაყიდვები). მიმდინარეობს კვლევები ქვეყანაში ელექტრონულ კომერციასთან დაკავშირებით, და მოლოდინი საკმაოდ კარგია, რადგან კომპანია ხედავს კარგ პროგრესს, რაც ბოლო თვეებში მიაღწია სხვა ქვეყნებში.

კომპანია ასევე განიხილავს DefactoFit ბრენდის განვითარებას, რომელიც ძირითადად სპორტული ტანსაცმელზეა ფოკუსირებული.

კომპანიის ყველაზე დიდი კაპიტალი საკუთარი დასაქმებულებია, ის ძირითადი ბირთვი, რომელიც დაარსების დღიდან აგრძელებენ საქმიანობას კომპანიაში. კომპანიის პრიორიტეტია თანამშრომელთა სწავლება და ტრენინგი, რისი ხელშეწყობისთვისაც შექმნილია სპეციალური ონლაინ პლატფორმა DF Academy, რომელზეც აბსოლუტურად

ყველა თანამშრომელს აქვს წვდომა. აღნიშნული პლატფორმის მეშვეობით, კომპანია უზრუნველყოფს თანამშრომელთა დატრენინგებას ჯერ კიდევ მუშაობის დაწყებამდე. სპეციალური საორიენტაციო პროგრამა მორგებულია ახალბედა თანამშრომლებზე და აწვდის მათ საბაზისო ინფორმაციას კომპანიაზე, საცალო გაყიდვების სფეროზე, „ხელმისაწვდომი მოდის“ კონცეფციაზე, DeFacto-ს ბრენდზე და ა.შ.

კომპანიამ 2015 წელს დაიწყო და შემდგომში განავითარა თანამშრომელთა ეფექტური განვითარების პროექტი, რაც გულისხმობს თითოეულ თანამშრომელზე ინდივიდუალურად შედგენის განვითარების პროგრამას, ფასდება თითოეული თანამშრომლის აღებული ვალდებულებების შესრულება და ამის მიხედვით გაიცემა გეგმის შესრულებასთან ერთად წლიური ბონუსი. აღნიშნული პროექტი მიზნად ისახავს თითოეული თანამშრომლის განვითარებას და ტალანტის გამოვლენას, რომელიც ეფექტურად იმოქმედებს კომპანიის საქმიანობაზე.

გარდა აღნიშნული პროექტისა, კომპანიაში მუშავდება სტრუქტურული ცვლილებები, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყნის შიგნით ქსელის განვითარებას.

კომპანია აფასებს საკუთარ მომხმარებლის ლოალოას და წლიდან წლამდე ხვეწს მომსახურების და საქონლის ხარისხს.

დეფაქტო საქართველოში თანამშრომლობს საქველმოქმედო კომპანია კარიტას ჯორჯიასთან და რეგულარულად აწვდის მაღაზიის ჩამოფასებულ და/ან წუნდებულ (თუმცა ვარგის) დეფაქტოს ბრენდის სამოსს გაჭირვებულთა დასახმარებლად.

დეფაქტოს ჯგუფი იცავს გარემოს ნახშირბადის გამონაბოლქვის შემცირებით, პლასტიკის გამოყენების შეზღუდვით. კომპანიამ აკრძალა მაღაზიებში პლასტიკური პაკეტების გამოყენება და იყენებს ქსოვილისგან დამზადებული სავაჭრო ჩანთების.

კომპანიის მმართველობა.

კომპანიის უმაღლესი მმართველი ორგანო აქციონერთა საერთო კრებაა. კომპანიის დირექტორი ინიშნება საერთო კრების მიერ. კომპანიის საერთო კრება ტარდება წელიწადში ერთხელ, კომპანიის ფინანსური საქმიანობის და მისი სამომავლო გეგმების განსახილველად.

კომპანიას მართავს დირექტორი, რომელიც პასუხისმგებელია ყოველდღიურ ოპერაციებზე და წარმომადგენლობითი უფლებამოსილება აქვს. დირექტორი კომპანიის საქმიანობას გულმოდგინედ და ერთგულად ხელმძღვანელობს, იცავს წესდების დებულებას და მოქმედი კანონების მოთხოვნებს. კომპანიის საბჭო აღიარებს კორპორატიული მართვის კარგი პრაქტიკის წარმოების მნიშვნელობას და მხარს უჭერს კორპორატიული მართვის მაღალ სტანდარტებს.

თითოეულ მაღაზიას ჰყავს ორი მენეჯერი, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან მაღაზიის წარმატებულ ფუნქციონირებაზე. მენეჯერების მუშაობას კოორდინაციას უწევს რეგიონალური საოპერაციო ზედამხედველი.

კომპანიის ფუნქციონირების ადმინისტრაციული მხარდაჭერა უზრუნველყოფილია უფროსი ბუღალტერის, რეგიონალური ვიზუალ მერჩენდაიზერის და ადამიანის რესურსების მართვის სპეციალისტის მიერ.

კომპანია ყველა თანამშრომელთან აფორმებს ინდივიდუალურ შრომით ხელშეკრულებას, რომელიც მომზადებულია საქართველოს შრომის კოდექსზე დაყრდნობით და შრომის კოდექსში შემავალი ცვლილებების პარალელურად დრო და დრო რედაქტირდება.

კომპანიის ხემძღვანელობა ზრუნავს საქართველოში არსებული მაღაზიების თანამშრომელთა უფლებების დაცვაზე კომპანიის ფარგლებში. საოპერაციო ნაწილში დასაქმებული თანამშრომლებისათვის ტარდება ყოველთვიური შეხვედრები HR-თან, სადაც თანამშრომლებს აქვთ შესაძლებლობა დააფიქსირონ ნებისმიერი სახის პრობლემა, რასაც აწყდებიან სამუშაო ადგილზე. კომპანიის სტრატეგია ამ მხრივ არის მჭიდრო კომუნიკაცია თანამშრომლებსა და HR დეპარტამენტს შორის, რათა თანამშრომელთა უფლებების დარღვევის ნებისმიერი შემთხვევა იქნეს გამოვლენილი და მოყვეს შესაბამისი ზომები.

საქართველოს კონსტიტუციითა თუ შრომის კოდექსით გაწერილი ადამიანის უფლებების დარღვევის თითოეულ ინციდენტს კომპანიაში აუცილებლად მოყვება შესაბამისი რეაგირება დისციპლინარული კომიტეტის და ადამიანური რესურსების დეპარტამენტის მხრიდან, თუმცა გვინახია, რომ ადამიანთა უფლებების შელახვის შემთხვევები კომპანიაში მინიმუმამდე დაყვანილი და პრაქტიკულად, არ ხდება.

ინფორმაცია ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლების შესახებ

კომპანიის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები შესადარისი მაჩვენებლებით შემდეგია:

	2019	2018	ცვლილება
ამონაგები	24,442,525	16,154,457	8,288,068
საერთო მოგება	9,094,908	7,776,575	1,318,333
საოპერაციო მოგება	(145,872)	906,684	(1,052,556)
წმინდა მოგება	(1,642,163)	869,654	(2,511,817)

	2019	2018	ცვლილება
საერთო მოგების მარჟა (საერთო მოგება/ამონაგები)	37.2%	48.1%	-22.7%
საოპერაციო მოგების მარჟა (საოპერაციო მოგება/ამონაგები)	-0.6%	5.6%	-110.6%
წმინდა მოგების მარჟა (წმინდა მოგება/ამონაგები)	-6.7%	5.4%	-224.8%
აქტივებზე უკუგება (წმინდა მოგება/საშუალო აქტივები)	-13.0%	8.9%	-246.4%
კაპიტალზე უკუგება (წმინდა მოგება/საშუალო კაპიტალი)	-204.6%	24.9%	-923.3%

არაფინანსური მაჩვენებლები

	2019	2018	ცვლილება
სამუშაო ადგილების რაოდენობა	158	106	52
მაღაზიების რაოდენობა	7	7	0

კვლევისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები

2019 წლის განმავლობაში კომპანიის მიერ არ მომხდარა კვლევის და განვითარების სამუშაოების ჩატარება, რომელიც უკავშირდება ინოვაციური ღონისძიებების დანერგვას ახალი ან უკვე არსებული პროდუქტების განვითარების ან გაუმჯობესების მიზნით.

ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

კომპანიას არ მიაჩნია ფასიანი ქაღალდები, დაშვებული საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ

კომპანიის მენეჯმენტის შეფასებით ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი თანხები არ საჭიროებს დამატებით განმარტებებს. აღნიშნული ინფორმაცია განმარტებულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

რისკები და შესაძლებლობები

კომპანიის მენეჯმენტი პასუხისმგებელია კომპანიის რისკების მართვაზე და შიდა კონტროლზე. ვცდილობთ გვქონდეს რისკების ეფექტური და ძლიერი მართვა ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობაში. კომპანიის უმთავრესი პრიორიტეტია ისეთი გარემოს შექმნა, სადაც საჭიროა გახსნილობა და გამჭვირვალობა იმასთან დაკავშირებით თუ როგორ ვიღებთ გადაწყვეტილებას და ვმართავთ რისკებს.

კომპანიის ძირითადი პოტენციური რისკები და შესაბამისი რეაგირება მის შემცირებაზე ქვემოთ მოცემულია:

საოპერაციო რისკები:

სისტემატიურად მოწმდება კომპანიაში შესაძლო გადაცდომები, და მენეჯმენტი ახდენს გადაცდომების პრევენციას, ატარებს ინვენტარიზაციებს როგორც სასაქონლო მარაგების, ასევე სხვა ძირითადი საშუალებების, რომელიც ძირითადი აქტივია კომპანიის.

სამუშაო პროცესში მონიტორინგის მიერ გამოვლენილი დანაკლისები არის კომპანიის გამოწვევა, რაც ვლინდება მომხმარებლების მიერ არაკეთილსინდისიერ მოპყრობაში, რაც იწვევს სარეალიზაციო პროდუქციის დაკარგვას. ამისათვის კომპანია ამცაგრებს უსაფრთხოების ნორმებს და დანაკარგის სიხშირიდან გამომდინარე ყველა მაღაზია უზრუნველყოფილია დაცვის სამსახურის ვიდეო კამერებით.

აგრეთვე, კომპანიას აქვს ძალიან მტკიცე ეთიკური ღირებულებები, რომელთა დაცვა და გათვალისწინება ყველა თანამშრომლის უშუალო პასუხისმგებლობაა. ჩვენი კომპანიის თითოეულ თანამშრომელს ხელი აქვს მოწერილი ე.წ დისციპლინარულ კონტრაქტზე, ისევე როგორც კომპანიის ინფორმაციის უსაფრთხოების ხელშეკრულებასა და კომპანიის შინაგანაწესზე. აღნიშნული დოკუმენტები არეგულირებს ეთიკის ნორმებს და უზრუნველყოფს ქურდობის, ქრთამისა და კორუფციის პრევენციას. გარდა ამისა, მაღაზიები არის მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ, კამერების მეშვეობით, სათაო ოფისი აკვირდება თითოეული თანამშრომლის მოქმედებას (თანამშრომელთა ნებართვით) და ნებისმიერი საეჭვო ინციდენტის შემთხვევაში იწყება შიდა გამოძიება კომპანიაში. ეთიკური ნორმების დარღვევის პრევენციის მიზნით ტარდება შიდა ტრენინგები და სპეციალური გადამზადება მაღაზიის მენეჯერებისთვის, რომლებიც თავის მხრივ, შემდგომში მაღაზიის თანამშრომლებს ატრენინგებენ ამ მიმართულებით.

პროდუქციის ყიდვა / შემოტანა ხდება მხოლოდ თურქეთიდან (დეფაქტო ფრტაქენდე თაჯარეთ ანონიმ შირქეთი). ოპერაციების დეპარტამენტი უზრუნველყოფს პროდუქციის შეძენას, ბაზრების მოთხოვნების დროულად და მომგებიანად დაკმაყოფილების მიზნით. პროდუქციის მარაგი მკაცრად კონტროლდება. მოვალეობების სეგრეგაციის მიხედვით, გაყიდვების და ინვენტარიზაციის მართვის ჯგუფები განსხვავებულია. მარაგების ინვენტარიზაცია ხორციელდება წელიწადში ორჯერ დამოუკიდებელი კონტრაქტორი კომპანიის მიერ. მენეჯმენტი მეთვალყურეობას უწევს ინვენტარიზაციის პროცესს.

ფინანსურ რისკები

საოპერაციო რისკების გარდა, კომპანია საქმიანობის პროცესში დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშეც. კომპანიის ძირითად ფინანსურ რისკებს წარმოადგენს საკრედიტო, ლიკვიდურობის, საპროცენტო განაკვეთებისა და სავალუტო რისკები.

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების დაუფარავობის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. უნდა აღინიშნოს რომ კომპანია არ დგას მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკების წინაშე საქმიანობის თავისებურებიდან გამომდინარე, რადგან იგი წარმოადგენს საცალო სავაჭრო კომპანიას.

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. კომპანია საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკის ფარგლებში ახორციელებს ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ანალიზს.

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა ახორციელებს სისტემატურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით, და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის. ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახდენს

მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რომელიც აქტივების/ვალდებულებების მართვის პროცესია.

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შემცირების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად. კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშვება პროცენტის მატარებელი და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების და ვალუტის კურსის ცვლილებებთან კავშირში. კომპანია დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგან მიმდინარე და შესადარის პერიოდში გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები.

ვალუტის კურსის ცვლილებები

კომპანიის ხარჯების დიდი ნაწილი დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, შესაბამისად ლარის გაუფასურებამ შეიძლება შეამციროს წმინდა მოგება. აგრეთვე, კომპანიის საკრედიტო რისკს გასწევს იქედან გამომდინარე, რომ არსებობს სხვაობა ყიდვა-გაყიდვისა და სესხების ვალუტებს შორის. აღნიშნული რისკის მართვას კომპანიის მენეჯმენტი მუდმივ რეჟიმში ახორციელებს.

პანდემიასთან დაკავშირებული რისკი

კორონა ვირუსთან დაკავშირებით ბოლო დროს განვითარებული მოვლენების გამო, მრავალმა ქვეყანამ, მათ შორის საქართველომ, საკარანტინო ღონისძიებები გაატარა, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა ბაზრის მონაწილეთა ბიზნეს საქმიანობების დონესა და მასშტაბებზე. მოსალოდნელია, რომ თავად პანდემიამ და მისი შედეგების შესუსტებისთვის გატარებულმა ღონისძიებებმა იმოქმედონ სხვადასხვა მრეწველობაში მოღვაწე კომპანიების საქმიანობებზე. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ COVID-19-ის მეორე ტალღის შემთხვევაში, განუსაზღვრელობის მაღალი დონის გამო, ეკონომიკასა და კომპანიის საქმიანობაზე მისი ფაქტობრივი გავლენის შეფასება რთულია.

რეგიონალური დამაბულობა, რომელიც აისახება ქართულ ბაზარზე

კომპანია ფუნქციონირებს პოლიტიკურად აქტიურ რეგიონში, სადაც საქართველოს მოსაზღვრე ქვეყნები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ საქართველოს ეკონომიკაზე. ამ რისკის სრულად მართვა შეუძლებელია.

ბაზარზე არსებული სიტუაცია

ზოგადი ეკონომიკური სიტუაციის გაუარესებამ შესაძლოა იმოქმედოს კომპანიის მდგომარეობაზე უარყოფითად. თუ ქვეყანაში გაუარესდა ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორები, როგორებიცაა ინფლაცია, საპროცენტო განაკვეთები, უმუშვრობა და ა.შ., ეს შესაბამისად

აისახება კომპანიის მომხმარებლის მსყვიდველობის უნარზე, რაც საბოლოო ჯამში უარყოფით გავლენას იქონიებს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე.

აგრეთვე, ბაზრის ზრდა შემცირებულია, ხოლო კონკურენცია იზრდება, რამაც შესაძლოა გაზარდოს კომპანიის ოპერირების ხარჯები და შეამციროს კომპანიის წმინდა მოგება.

დირექტორი : აჰმეთ ჰამდი ბურგაჩოღლუ


A. Hamdi Burgacoglu